1. მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა მეორე კვარტალში 1709.4 ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების 1850.6 ათასი ლარის 92.4 % მ.შ. მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 1653.2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა 17.8 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებას 38.4 ათასი ლარი. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა 304.6 ათ. ლარი. დაფინანსდა 83.8 %-ით. (გეგმა 363.3 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის მერიის დასაფინანსებლად 1157.7 ათ. ლარი, დაფინანსდა 97.3 %-ით (გეგმა 1189.4 ათ.ლარი). ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობას მოხმარდა 53.2 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 65.4 %-ით (გეგმა 81.4 ათ. ლარი). თანამშრომელთა გადამზადების პროგრამაზე განსაზღვრული 11.4 ათასი ლარი 2020 წლის მეორე კვარტალში დარჩა აუთვისებელი. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებათა მიზნობრივ პროგრამაზე გაიხარჯა 6 თვეში 193.9 ათასი ლარი, გეგმიური ხარჯის 200.0 ათასი ლარის 97%.
2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა ექვს თვეში

200564 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ ა) 64840 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 14 იანვრის N51 45 ბრძანების შესაბამისად. ბ) 59748 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 13 თებერვლის N51 227 ბრძანების შესაბამისად. დ) 11176 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 30 იანვრის N51 146 ბრძანების შესაბამისად. ე) 2306 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 28 თებერვლის N51 365 ბრძანების შესაბამისად. 62494 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 27 აპრილის N 51 707 ბრძანების შესაბამისად .

3. მერიის სარეზერვო ფონდიდან 2020 წლის I კვარტალში გამოყოფილი იქნა 70751 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, მათ შორის: ა) მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 იანვრის N51 80 ბრძანების შესაბამისად საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღსადგენად გამოყოფილი იქნა 18250 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 22 იანვრის N51 95 ბრძანების, 12 თებერვლის N51 222 ბრძანების და 12 თებერვლის N51 223 ბრძანების საფუძველზე ახალგაზრდული პროგრამის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა შესაბამისად 1200 ლარი, 1930 ლარი და 990 ლარი. მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 თებერვლის N51 230 ბრძანების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 880 ლარი, ევროპის რეგიონთა ასამბლეას 2020 წლის საწევროს შესატანად, მუნიციპალიტეტის მერის 18 თებერვლის N51263 ბრძანებით სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იქნა 5100 ლარი, სპორტული ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაციისათვის 2260 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 06 მარტის N51 423 ბრძანებით სოფელ თაბაგრების დაზიანებული ხიდის აღსადგენად საპროექტო სამუშაოებისათვის 1500 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 17 მარტის N51 517 ბრძანებით წირქვალის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდ-ბოგირის აღსადგენად 25413 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 18 მარტის N51 525 ბრძანებით ზოგადი განათლების არაფინანსური აქტივების შექმნის მუხლით გამოეყო 6483 ლარი, საცხოვრებელი სახლების ფასადების აღსადგენად 45 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 მარტის N51 567 ბრძანებით ახალგაზრდული პროგრამების ღონისძიებებიდან

ლიტერატურულ მუსიკალური საღამოს ორგანიზატორის ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის 1000 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 მაისის N51 800 ბრძანების შესაბამისად საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღსადგენად გამოყოფილი იქნა 5700 ლარი.

4. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე განსაზღვრული ასიგნებების საკასო შესრულება 2020 წლის იანვარ - ივნისის თვეში შეადგენს **3022.1** ათას ლარს, დაფინანსდა 84.1 %-ით (გეგმა **3595.2** ათასი ლარი) მათ შორის: ა). საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **2180.0** ათასი ლარი (გეგმა 2648.7 ათასი ლარი), საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 1801.4 ათასი ლარი, (გეგმა 2175.0 ათასი ლარი), ხიდებისა მოაჯირების აღდგენა მშენებლობას 26.1 ათასი ლარი (გეგმა 81.9 ათასი ლარი), საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობაზე გაიხარჯა 135.8 ათასი ლარი (გეგმა 141.8 ათასი ლარი), ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების, მოედნების მოსაწყობად 216.7 ათასი ლარი (გეგმა 250.0 ათასი ლარი), ბ). წყლის სისტემის განვითარებას მოხმარდა 169.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 98.6%-ით, (გეგმა 172.0 ათასი ლარი), მათ შორის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 115.4 ათასი ლარი,(გეგმა 116.0 ათასი ლარი), შპს„ჭიათურის წყალის“ დაფინანსებაზე 54.3 ათასი ლარი (გეგმა 56.0 ათასი ლარი). გ). გარე განათებაზე დაიხარჯა 209.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 86.0 %-ით (გეგმა 244.0 ათასი ლარი), აქედან გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას მოხმარდა 186.7 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ახალი წერტილების მოწყობა რეაბილიტაციას 23.1 ათასი ლარი. დ). მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირებაზე გაიხარჯა 244.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 91.6%-ით (გეგმა 266.9 ათასი ლარი).
- ე). მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებას მოხმარდა 133.3 ათასი ლარი (გეგმა 135.0 ათასი ლარი), რაც მიმართული იქნა საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენაზე. ვ). მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე განსაზღვრული იყო 100.6 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 84.8 ათასი ლარი, თანხა მოხმარდა მწვანე ნარგავების

განაშენიანებასა და სკვერების მოვლა - პატრონობას, დაფინანსდა 84.3 %-ით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი იყო 25.0 ათასი ლარი, ფაქტიურად ექვს თვეში ათვისებული იქნა 17.0 ათასი ლარი.

სასაფლაოების შემოსაღობად განსაზღვრული 3.0 ათასი ლარი დარჩა ათვისებელი.

5. დასუფთავებასა და გარემოს დაცვაზე გაიხარჯა 659.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 84.2%-ით (გეგმა 783.4 ათასი ლარი), ათვისებული თანხა მთლიანად მოხმარდა დასუფთავებასა და ნარჩენების გატანას, რაზეც ექვს თვეში განსაზღვრული იყო 778.9 ათასი ლარი. ხოლო სანიაღვრე არხების აღდგენაზე გამოყოფილი 4.5 ათასი ლარი დარჩა ათვისებელი.
6. განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა **2124.3** ათასი ლარი, დაფინანსდა 86.8 %-ით (გეგმა 2448.1 ათასი ლარი), აქედან სკოლამდელი დაწესებულებების (გაერთიანებული საბავშვო ბაღი) დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1389.9 ათასი ლარი. დაფინანსდა 79.4%-ით (გეგმა 1750.0 ათასი ლარი), ხოლო 350.1 ათასი ლარი სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა რეაბილიტაცია, მშენებლობას მოხმარდა (გეგმა 370.7 ათასი ლარი). ზოგადი განათლების ხელსაწყოების პროგრამას მოხმარდა 384.3 ათასი ლარი (გეგმა 327.4 ათასი ლარი), კერძოდ ბავშვების საცხოვრებელი ადგილებიდან სკოლამდე ტრანსპორტირებას.
7. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 91.7 %-ით გეგმით განსაზღვრული იყო 1925.8 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 1766.1 ათასი ლარი საიდანაც: ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე განსაზღვრული 768.8 ათასი ლარიდან, ფაქტიურად გაიხარჯა **719.5** ათასი ლარი, აქედან რაგბის სპორტული სკოლა დაფინანსდა 179.1 ათასი ლარით (გეგმა 202.4 ათასი ლარი), N27 სპორტული სკოლა 376.7 ათასი ლარით (ავგეგმა 392.1 ათასი ლარი) ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტსკოლა 106.5 ათასი ლარით. (გეგმა 113.5 ათასი ლარი). სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაციას მოხმარდა 57.1 ათასი ლარი (გეგმა შეადგენდა 60.8 ათას ლარს), ბ) კულტურისა და რელიგიის სფეროს განვითარებას მოხმარდა **1023.2** ათ. ლარი,

გეგმით განსაზღვრული თანხის, 1118.1 ათასი ლარის 91.5%. აქედან N1 სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 129.8 ათასი ლარით (გეგმა 155.0 ათასი ლარი), N2 სამუსიკო სკოლა 83.0 ათასი ლარით (გეგმა 98.6 ათასი ლარი). სახვითი ხელოვნების სკოლა 31.9 ათასი ლარით (გეგმა 33.0 ათასი ლარი), ცენტრალური ბიბლიოთეკა 131.2 ათასი ლარით, (გეგმა 140.1 ათასი ლარი), კულტურის შემოქმედებითი ცენტრი 500.2 ათასი ლარით (გეგმა 510.0 ათასი ლარი), ჭიათურის თეატრზე გრანტის სახით გაიცა 47.1 ათასი ლარი. რელიგიის ღონისძიებებზე 2020 წლის ექვს თვეში გაიხარჯა გეგმიური 100.0 ათასი ლარი. გ). ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **23.4** ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით განსაზღვრული 38.9 ათასი ლარის, დფინანსდა 60.2%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული ახალგაზრდების ჯილდოების გაცემა, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება და ა.შ.

8. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2020 წლის ექვს თვეში **1123.6** ათასი ლარი, დაფინანსდა 93.5 %-ით. (გეგმა **1201.9** ათასი ლარი), აქედან:

ა) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **76.3** ათ. ლარი. დაფინანსდა 88.3 % (გეგმა **86.4** ათ.ლარი). აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირებას მოხმარდა 61.0 ათასი ლარი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამები დაფინანსდა 15.3 ათასი ლარით.

ბ) სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **1047.2** ათასი ლარი, დაფინანსდა 93.9 %-ით (გეგმა **1115.5** ათ.ლარი). მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა **465.5** ათ. ლარი, უმწეო და მიუსაფარი მოქალაქეთა კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა **60.9** ათასი ლარი, ომის ვეტერანთა დახმარებაზე **74.5** ათასი ლარი, ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე **0.5** ათ.ლარი, ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე **394.8** ათ. ლარი, სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად **11.5**

ათასი ლარი. სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოც დაცვაზე გაიხარჯა 39.5 ათ. ლარი. მათ შორის დევნილთა სოც დაცვაზე 6.3 ათასი ლარი, ხანდაზმულებზე 18.0 ათასი ლარი, მარჩენალდაკარგულებზე 13.6 ათასი ლარი, ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებზე 1.6 ათასი ლარი.

2020 წლის პირველი ივლისისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **3377.0** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **1039.2** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **2337.8** ათას ლარს . მათ შორის:

N	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა
1	2020 წლის 01 ივლისის მდგომარეობით სულ	3376969
2	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
3	რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკ.	5591.17
4	საქ. მთავრ.26.05.2012წ.N972 განკ. მიწისძვრ.დაზ. დასახმარებლად	15400
5	საქ.მთ.18.01.2018 წლის N136 გზების რეაბილიტაცია	97961.56
6	მიზნობრივი ტრანსფერი	23612
7	სკოლოების რეაბილიტაცია	1006.86
8	საქ. მთ. 31.12.2018 წ. N2577 განკ. გზების რეაბილიტაცია	31307.49
9	საქ.მთ.18.01.2019წ N13 სკოლების რეაბილიტაცია	457.4
10	საქართ.მთ 22.01.2019წ N45 განკ.სოფლის მხარდამჭ.პროგრამა	11707.96
11	საქართ. მთ. 15.03.2019წ. წ N558 განკ.სტიქია	9559.7
12	საქართ. მთ. 15.03.2019წ. წ N554 განკ. ამბულატორია	797.83
13	საქ.მთ.12.04.2019წ.N815 გზების რეაბილიტაცია	324869.95

14	საქართ. მთ. 10.07.2019წ. N1596 განკ. მუნიციპალიტ. მიერ განსახორც. ღონისძ.	129903
15	საქ. მთ. 09.01.2020წ. N27 სკოლის მოსწ. ტრანსპორტირების	295215.89
16	საქ. მთ. 18.12.2019წ. N2630 გზების რეაბილიტაცია	68070.42
17	საქ. მთავრ. 09.01.2020 წ. N27 სკოლების რეაბილიტაცია	23742
18	სულ ც/ ბიუჯეტიდან	1039203.23
19	საკუთარი ნაშთი	2337765.77

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მთავარ როლს ასრულებს მანგანუმის, ასევე სხვა სასარგებლო წიაღისეულის (მარმარილო და კვარციანი ქვიშა) მოპოვება. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვაჭრობის სფეროს.

ეკონომიკის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს „აწარმოე საქართველოში“ და სხვა ფონდების მიერ დაფინანსებული ბიზნეს პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2.1 სოფლის მეურნეობა

ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მეურნეობა არ ითვლება წამყვან დარგად რელიეფისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირის გამო. მუნიციპალიტეტში სასოფლო სამეურნეო სავარგულებს სულ 23 903 ჰექტარი უკავია, რაც მისი მთლიანი ფართობის მცირე ნაწილს, 45%-ს შეადგენს. მიწების კატეგორიები შემდეგნაირია: სახნავ-სათესი მიწები 7 702ჰა, ხილისა და მწავალწლიანი ნარგავების ბაღები 2 600ჰა, და სათიბ საძოვრები 13 652ჰა.

მემცენარეობა - მემცენარეობისათვის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახნავ-სათიბი მიწების 32% გამოიყენება. მუნიციპალიტეტში პრიორიტეტულია ისეთი კულტურები როგორცაა სიმინდი და ლობიო. თუმცა მემცენარეობის განვითარებისათვის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია სარწყავი სისტემების ნაკლებობა მუნიციპალიტეტში. ჭიათურის მუნიციპალიტეტში 2015 წელს 370 ჰექტარი მიწა იქნა გამოყენებული ისეთი

კულტურების მოსაყვანად როგორცაა კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, პამიდორი და სხვა ერთწლოვანი კულტურები მცირე რაოდენობით.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში სულ ერთი ბოსტნეული მწარმოებელი სასათბურე მეურნეობა ფიქსირდება, რომელიც წელიწადში 5 ტონა ბოსტნეულს აწარმოებს. მუნიციპალიტეტში ასევე ვხვდებით ვარდის 3 საჩითილე მეურნეობას, რომლებიც წელიწადში 45000 ცალ ვარდს აწარმოებენ.

მეცხოველეობა - მეცხოველეობის განვითარების მთავარი ხელშემწყობი პირობაა მუნიციპალიტეტში არსებული სათიბ საძოვარი მიწები, რომელსაც სასოფლო სამეურნეო მიწების დაახლოებით 56 % უკავია.

2014 წლის მდგომარეობით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მუნიციპალიტეტში 22 890 სულს აღწევს. უკანასკნელი სტატისტიკის მიხედვით ფიქსირდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზრდის ტენდენცია 5-% დან - 10 % მდე შუალედში.

მეფუტკრეობა - მუნიციპალიტეტში საკმაოდ კარგად არის განვითარებული მეფუტკრეობა. 2015 წლის მდგომარეობით მეფუტკრეობის საქმიანობაში ჩართულია 114 ფერმერი და მათი ჯამური წლიური წარმოება შეადგენს 65048.65 ტონა თაფლს. მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უწყობს შესაბამისი კლიმატური პირობები და მაღალი თაფლოვანი შემცველობის მქონე ყვავილები.

2.2 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ეკონომიკის ძველი სისტემის შეცვლამ და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის სიძნელეებმა, მძაფრი პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პირობებში, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის და შესაბამისად საქართველოს ყველა ქალაქის, მათ შორის ჭიათურის ეკონომიკა.

ჭიათურის სამრეწველო სექტორი ყოველთვის გამოირჩეოდა მსხვილი სამრეწველო საწარმოების სიმრავლით, სადაც 20 ათასი კაცი იყო დასაქმებული. 1990-1995 წლებში სამრეწველო წარმოების დონის მკვეთრი დაცემა და ამის შედეგად ქალაქის შიდა პროდუქტში დარგის ხვედრითი წილის არსებითი შემცირება მიანიშნებდა დეინდუსტრიალიზაციის რეალურ საშიშროებაზე, რასაც სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურისა და იმ პერიოდის წარმოების დინამიკის მონაცემებიც ადასტურებენ.

1995-2001 წლებში ქალაქის ეკონომიკურ სფეროში რიგი პოზიტიური ძვრები აღინიშნა, თუმცა, მდგომარეობა კვლავ რთულად დარჩა. უკიდურესად დაბალი იყო საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, საწარმოთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ძირითადი პროფილის მიხედვით რენტაბელურ ფუნქციონირებას და მათი საქმიანობა ცალკეული მცირე მოცულობის დაკვეთების შესრულებით და სხვა დროებითი შემოსავლების მიღებით (საწარმო ფართობების გაქირავება, იჯარით გაცემა, ქონების გაყიდვა და ა.შ.) შემოიფარგლებოდა.

წარმოების უმოქმედობის ან მცირე დატვირთვის პირობებში საწარმოებს დიდძალი საგადასახადო დავალიანებები დაუგროვდათ, რამაც, თავის მხრივ, დაამძიმა სარეაბილიტაციო ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა.

2002-2006 წლებში პროდუქციის გამოშვების მოცულობა და ბრუნვის საერთო მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2006-2014 წლებში ფაქტობრივად შენარჩუნდა წარმოებული პროდუქციის ზრდის ტენდენცია.

მარმარილოს, ქალაქში არის აგრეთვე საშენი მასალის, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები

სოფლის მეურნეობის დარგებიდან განვითარებულია მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და მევენახეობა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია მდიდარი ტყის რესურსებით. ტყით დაფარულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაახლოებით 45%. ტყის შემქმნელ ძირითად მერქიან სახეობებს შორის, მაგარმერქიანი ფოთლოვნებიდან ჭარბობს წაბლი 30%-ით. აღსანიშნავია ე.წ. ხელუხლებელი ტყეები, რომლებიც შენარჩუნებულია პირვანდელი სახით და გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განფენილი ტყეები განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულებით გამოირჩევა. გარდა სამრეწველო პოტენციალისა, უნდა აღინიშნოს მათი ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და კლიმატმარეგულირებელი ფუნქციები. ტყეები იძლევა შესაძლებლობას, სრულად იქნეს დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილება როგორც საშეშე, ისე სამასალე მერქანზე. ტყეებისა და მისი რესურსების პოტენციალის გამოყენებას მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობაა ქვს. მერქნული რესურსის არსებული მარაგები სწორადდა გეგმვისა და მდგრადი ტყით სარგებლობის შემთხვევაში, იძლევა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების, ისე მათი სამრეწველო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

ქალაქის უმთავრეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად კვლავ რჩება უმუშევრობა, რომლის დონე ჯერ კიდევ მაღალია. 2014 წელს უმუშევრობის მაჩვენებელი 10.7% იყო, რაც ეროვნულ მაჩვენებელზე - 12.4%-ზე ნაკლებია. მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 14-16 %-ს შეადგენს.

ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტში 2015-2016 წლებში დაფინანსდა 10-მდე პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 100 000 ლარამდე. ახალი მცირე საწარმოების შექმნა ასახვას ჰპოვებს ჭიათურის ეკონომიკის განვითარებაზე და სტიმულის მიმცემი იქნება სხვა საოჯახო მეურნეობებისათვის.

2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან (ჩვ.წ. აღ.მდე) წარმოიშვა, რასაც ადასტურებს ჭიათურის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ექსპონატები, რომლებიც მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. ამავე დროს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია ათეულობით მღვიმე, ეკლესია-მონასტერი, კლდეში ნაკვეთი ციხე, რომელთაც სხვადასხვა დროს დიდი როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში. აღნიშნული ძეგლების ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა განუსაზღვრელია ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის, რაც დასტურდება მრავალი მეცნიერის წარმოებული კვლევებითა და შექმნილი ნაშრომებით. დღეისათვის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული რამოდენიმე ძეგლი კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეყვანილი. ტურისტული თვალსაზრისით მუნიციპალიტეტის პოპულარობას განსაზღვრავს აქ არსებული 30-ზე მეტი მღვიმე და გამოქვაბული, 100-მდე ეკლესია-მონასტერი, განსაკუთრებული რელიეფი, კლიმატური და ბუნებრივი პირობები.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, რომლებიც ქართველ და უცხოელ ტურისტთა შორის დიდ ინტერესს იწვევს.

მიმდინარე ეტაპზე არ შეიძლება ტურიზმი მიჩნეულ იქნას ეკონომიკის წამყვან დარგად საშუალოვადიან პერიოდში და შესაბამისად ამ მხრივ დიდი რესურსების ხარჯვა ნაკლებად ეფექტიანი იქნებოდა. თუმცა მუნიციპალიტეტის, ისევე როგორც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ტურისტული ღირსშესანიშნაობების გათვალისწინებით შესაძლებელია გადაიდგას ამ დარგის მამოტივირებელი ნაბიჯები და დაიწყოს ტურისტული პოტენციალის პიარი ადგილობრივ ბაზარზე. მოუწესრიგებელი ტურისტული ინფრასტრუქტურის და მომსახურების სერვისების ნაკლებობის გამო, ჭიათურის ტურისტული თვალსაზრისით, ნაკლებად აქტიურ მხარედ განიხილება. მუნიციპალიტეტში არის ისეთი ტურისტული ობიექტების ნაკლებობა, როგორცაა: მცირე საოჯახო სასტუმროების რაოდენობა/სასტუმროები, კაფე-ბარები, სწრაფი კვების ობიექტები, გასართობი ადგილები, დასასვენებელი პარკები, მოსაწესრიგებელი ტურისტული ზონები.

2015-2018 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციასზე კერძოდ,

ტურისტული ცენტრის მშენებლობა, კაცხის სვეტის და კაცხის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია. პროექტი ითვალისწინებს: კაცხის სვეტამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. 1 კმ. მ, გარე წყალმომარაგების სისტემის მონტაჟი, ღია ტერასის მოწყობას, წყაროს აღდგენა-მოპირკეთება, ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. 100 მ. ფერდზე, ტურისტებისთვის გადასახედი, ღია აივნის მოწყობა, გამოყოფილია ადგილი ავტოსადგომისთვის, ბუნგალოები, ტურისტული ცენტრი, რომელს ღირებულება შეადგინა 2,2 მილიონი ლარი რამაც შეადგინა დღევანდელი კურსით 827 068 აშშ დოლარი, პროექტი განხორციელდა 2 ეტაპად: ტურისტული ცენტრის მშენებლობა და კაცხის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია, კომპლექსთან ერთად გაუმჯობესდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც მეტ ტურისტს იზიდავს და ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალირ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მსოფლიოში ცნობილია ჭიათურა როგორც მემახტეთა ქალაქი, ჭიათურა გარშემორტყმულია ციცაბო კლდეებით, მას კი კვეთავს უამრავი საბაგირო გზის სატრანსპორტო საშუალებიდან საბაგირო გზა ყველაზე მარტივია გადაადგილებისათვის ასევე ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ტრანსპორტია, ჭიათურაში გაკეთდა სამგზავრო გონდოლები, შექმნილია 8 გონდოლა და აშენდა ცერტრალური სადგური და მისგან გამავალ 4 მიმართულებას: სანატორიუმი (862 მ), ნაგუთი (1081 მ), ლეჟუბანი (845 მ) და მუხაძე (640 მ) რომელს ღირებულება შეადგენდა 40 მილიონი ლარის რაც 15 037 594 აშშ დოლარს. პროექტი განხორციელდა ორ ეტაპად: დემონტაჟი და ახალი სადგურების მშენებლობა. მოწესრიგდა და განათება დამონტაჟდა კლდეებზე რამაც გააღამაზა ქალაქის იერ სახე, მოწესრიგებულმა ინფრასტრუქტურამ გააუმჯობესა მეკლდეურთა ფედერაციის ვარჯიში როგორც ღამით ასევე დღისით, ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა გამოიწვია

ტურისტების დაინტერესება შესაბამისად გაზარდა ტურისტების ნაკადი, 2017 წელს ტურისტების რაოდენობა შეადგენდა 1470 ხოლო 2018 წელს 1600 ტურისტს. გაიზარდა სასტუმროს ტიპის მომსახურებაც სასტუმროების რაოდენობა 14 ადგილების რაოდენობა 120 საწოლს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ჩართულობა ტურიზმის განვითარების სფეროში მოიცავს ღირსშესანიშნავ ობიექტების, სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და ობიექტებამდე საავტომობილო გზების კეთილმოწყობას, გარე განათების მონტაჟსა და ტურისტებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2021 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2021 – 2024 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

2021-2024 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით (საკუთარი შემოსულობებით)					
პრიორიტეტი ს კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4426.5	4500.0	4550.0	4600.0
	მ.შ. რიცხოვნობა	200.0	200.0	200.0	200.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	0,0	0,0	0,0	0,0

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	3955.200	6944.3	9043.3	10149.3
	მ.შ. რიცხოვნობა	98.0	100.0	100.0	100.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1470.0	1570.0	1590.0	1620.0
	მ.შ. რიცხოვნობა	198.0	198.0	198.0	198.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
04 00	განათლება	4500.0	4518.0	4855.0	5252.0
	მ.შ. რიცხოვნობა	702.0	702.0	720.0	730.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3890.0	4312.5	4330.3	4856.9
	მ.შ. რიცხოვნობა	542.0	545.0	545.0	550.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1891.5	2052.5	2052.5	2052.8
	მ.შ. რიცხოვნობა	19,0	19,0	19,0	19,0
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
სულ ჯამი		20133.200	23897.3	26421.1	28531.0
მ.შ. რიცხოვნობა		1759.0	1764.0	1782.0	1797.0
მ.შ. ახალი ინიციატივები					

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება

მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ ერთი მთავრი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ამ კუთხით

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანამშრომელთა გადამზადების ხარჯები, მათი სწავლებისა, სასწავლო მიზნით მივლინებისა თუ სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით.

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების მომსახურება	4426.500	4500.0	4550.0	4600.0
	მ.შ. რიცხოვნობა	200.0	200.0	200.0	200.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	0	0	0	0

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი 01 02 02

მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2021-2024 წლები

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესიო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა

პროგრამის აღწერა:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება	840368	220695	213564	206558	199551
სულ პროგრამა	840368	220695	213564	206558	199551

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შემცირებულია არსებული სასესიო ვალდებულებები

დამატებითი ინფორმაცია

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის მომსახურება გათვალისწინებულია 2018 წლიდან

მოსალო დნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გა ზ ომ ვი ს ერ თ ეუ ლ ი	მონაცემ თა წყარო	პასუხისმ გებელი (საბიუჯე ტო ორგანიზ აცია, სამსახურ ი)	მოგრო ვების მეთოდ ი
		2018 წელი (საბა ზისო)	2021 წელ ი	2022 წელ ი	2023 წელ ი	2024 წელი				
შემცირე ბულია არსებუ ლი სასესხო ვალდებ ულებები	წლის განმავლ ობაში დაფარუ ლი სასესხო ვალდებ ულების ოდენობ ა	806285	475.0	4380.0	285.0	190.0	ლ არ ი	ჭიათური ს მუნიციპა ლიტეტის ს მერიის საფინანს ო სამსახურ ი	ჭიათური ს მუნიციპა ლიტეტის ს მერიის საფინანს ო სამსახურ ი	მონიტ ორინგ ი

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 01 03 01

ქვეპროგრამის დასახელება:

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	127.7

სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	127.7

ქვეპროგრამის მიზანი:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა წელიწადში ორჯერ არაუგვიანეს 28 აპრილის და 28 ოქტომბრისა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა	2	25.550	51.1
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების ძირი თანხის დაფარვა	2	38.300	76.600
სულ ქვეპროგრამა			127.7

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა		X		X
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების ძირი თანხის დაფარვა		X		X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020წელი)

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში

პროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები - მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სასესხო ვადებულე დაფარული ახელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში	სასესხო ვალდებულებების დაფარვის პირობების დარღვევის გამო დაკირებული პირგასამტეხლო	0	ლარი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური	წელიწადში ორჯერ	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური	მონიტორინგი

01 03 თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 03
----------------------------------	--------------

ქვეპროგრამის დასახელება:

თანამშრომლების სწავლება

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
---	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა ორგანიზაცია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსისტთა ასოციაცია

დაფინანსების წყარო

დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	27.000	31.000	31.500	31.000
სათევა	10.000	10.000	10.000	10.000

ი (OUTCOME)	დასახელება	2019 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				ზაცია, სამსახური		
პროგრამული ბიუჯეტის ხარისხიანი პროგრამები	სერთიფიცირებული თანამშრომლების რაოდენობა	10	50	50	50	50	პროცენტი	5%	სათეფა სხვა დასხვა ორგანიზაცია	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია	საქართველოს კანონმდებლობა	

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 02 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარების.

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;	3955.2	6944.3	9043.3	10149.3
	მ.შ. რიცხოვნობა	98	100	100	100

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა 02 01

პროგრამის განმახორციელებელი:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის სამსახური)

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2021-2024 წლები

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის სიგრძე შეადგენს 420 კილომეტრს ასფალტო/ბეტონის საფარით დღეის მდგომარეობით დაფარულია 175 კილომეტრი . მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთიანი მოცულობის 40პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს, ასევე გზების დახაზვა, მწოლიარე პოლიციელების მონტაჟს.

პროგრამის ბიუჯეტი

ექვეპროგრამის დასახელება	სულ	2021წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
გზის საფარის მშენებლობა, რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტით	19822.1	2237.7	4276.8	6125.8	7181.8
გზის საფარის მშენებლობა, რეაბილიტაცია სახელმწიფო ბიუჯეტით					
სულ პროგრამა	19822.1	2237.7	4276.8	6125.8	7181.8

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (OUTCOME)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	გეგმიური გადახრა	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია	რისკი
	დასახელება	2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი						
შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა	რეაბილიტირებული გზები, სტანდარტების შესაბამისად	175 კმ	103 მ	24 კმ	34 კმ	413 მ	კილომეტრი	10%	ინფრასტრუქტურის სამსახური	- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური	სნიპები	დაფინანსება, ხარვეზიანი პროექტი
	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	არგვაქვს მონაცემი	5%	9%	12%	15%	კმაყოფილების ინდექსი	10%	ინფრასტრუქტურის სამსახური	- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური	პირისპირ ინტერვიუ	სუბიექტური აზრი

										ოწყობი ს სამსახურ რი		
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	-------------------------------	--	--

ახალი გზების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია 02 01 02

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 02
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ახალი გზების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია (-ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური)

დაფინანსების წყარო

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	2237.700
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
სულ ქვეპროგრამა	2237.7

N	დასახელება	გრძივი მეტრი	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება (ლარი)
1	სოფელ წყალსავში ქვრივიშვილების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები			41245
2	სოფელ წყალშავში კაკუზას უბანში გზის მოწყობის სამუშაოები			121806
3	სოფელ ბერეთისაში ქვედა კვიჟინაძეების გზის მოწყობა			43775
4	სოფელ უსახელოში მთვარანგელოზის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოწყობა			210000
5	სოფელ უსახელოში მგლების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები			101857
6	სოფელ მანდაეთში ივანაშვილების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			38888
7	სოფელ მანდაეთში ჩაჩანიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			270061
8	სოფელ მეჩხეთურში ქბილარის უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			41243
9	სოფელ ქვაციხეში ბედინაშვილების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			54876
10	სოფელ ქვაციხეში ფორცხიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			27190
11	სოფელ ბილაში გოგსაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			31457
12	სოფელ რცხილათში უფლისაშვილების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			38120

13	სოფელ ზოდში ბოყოვლების შემაერთებელი გზის მოწყობის სამუშაოები			53716
14	სოფელ ზოდი-ქვედა ზოდის შემაერთებელი გზის მოწყობის სამუშაოები			50997
15	სოფელ მოხოროთუბანში ბიდაურების გზის მოწყობის სამუშაოები			45632
16	სოფელ სარქველეთუბნის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები			49278
17	სოფლების თაბაგრებისა და ბუნიკაურის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები			61434
18	სოფელ ზედა რგანში სიკინჭალაშვილებისა და ბუზალაძეების გზის მოწყობის სამუშაოები			29397
19	სოფელ თაბაგრებში კენჭომვილების (მთის უბნის) გზის მოწყობის სამუშაოები			40432
20	სოფელ ითხვისში ბიბიაშვილის უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			32226
21	სოფელ ითხვისში ლომიძეები ჩუბინიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			37584
22	სოფელ ითხვისში ღავთძე ნადირაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			27932
23	სოფელ წირქვალში კოროლეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			180451
24	სოფელ წირქვალში კაციტაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			50681

25	სოფელ ქვედა ჭალოვანში ზედა ხვედელიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				33698
26	სოფელ გეზრულში ხოჯანაშვილების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				33257
27	სოფელ გეზრულში გვალიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				38311
28	სოფელ გეზრულში გორდელაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				28368
29	სოფელ გეზრულში გაფრინდაშვილების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				24709
30	სოფელ გეზრულში მანცხაშვილები-ლომიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				79900
31	სოფელ სვერში ლოჟდეეთის უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				162113
32	სოფელ სვერში ქვედა სვერში გზის მოწყობის სამუშაოები				13586
33	სოფელ ვაჭევში ბუკეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				50000
34	სოფელ ღვითორში ამბლუაშვილების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები				31398
35	სოფელ ვაკევისაში გზის მოწყობის სამუშაოები				187186
36	სოფელ მორძგვეთში ღვალაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				41927
37	სოფელ ნავარმეთში სერის უბნის გზის მოწყობის სამუშაოები				35536

38	სოფელ კაცხში ხარათიშვილების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები			40432
39	სულ ჯამი			2237700

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის უმეტესობა პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, 2021 წლისთვის იგეგმება დაახლოებით 10კილომეტრი გზის მშენებლობა რეაბილიტაცია. ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა

ქვეპროგრამის შედეგი :
შექმნილია თანამედროვე სტანდარტით გათვალისწინებული გზა

პროგრამის დასახელება	კოდი	წელის სისტემების განვითარება	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2021-2024 წლებზე (ათას ლარში)
	02 03		550.0	2500.0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.			
პროგრამის აღწერა	წყალმომარაგების უზრუნველყოფა როგორც ქვეყნის ასევე მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ჭიათურის მუნიციპალიტეტში ქალაქის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაციას და მოსახლეობის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე წყალმომარაგებით მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა შპს ჭიათურის წყალი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ქსელების მოწყობას და არსებული ქსელების მოვლა პატრონობას.			

პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების გაუმჯობესებული სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის წყალმომარაგებას.
--	---

პროგრამის დასახელება	კოდი	წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2021-2024 წლებზე (ათას ლარში)
	02 03		550.0	2500.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „ჭიათურის წყალი“			
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგებით მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა შპს ჭიათურის წყალი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ქსელების მოწყობას და არსებული ქსელების მოვლა პატრონობას.			
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების გაუმჯობესებული სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის წყალმომარაგებას.			

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2021-2024 წლებზე (ათას ლარში)
	02 03		317.5	1270.0
პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი			
პროგრამის აღწერა	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და			

	<p>ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. გარე განათების ქსელით მოცულია ქალაქ ჭიათურის ტერიტორიის 98%.</p> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2021 წლის ბიუტიდან ასიგნებები გამოყოფილია გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე . აღნიშნული ასიგნება გაიცემა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან.</p>
<p>პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2021წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		317.5	1270.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელით დაფარულია 95%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. <p>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას</p>			

მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. ქალაქის ტერიტორია გარე განათების ქსელით მოცულია 95%.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 04		550.0	2500
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია, რომელიც განახორციელებს ჭიათურაში საბაგირო გზების აღდგენამდე უზრუნველყოფს სამარშრუტო მიკროავტობუსებით მგზავრთა გადაყვანას, ხოლო აღდგენის შემდეგ საბაგირო გზის ექსპლოატაციას.</p> <p>ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მძიმე ტექნიკის ექსპლოატაციას, დაზიანებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციას და ზამთრის პერიოდში მოსული ნალექისაგან საგზაო ინფრასტრუქტურის გაწმენდას.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოქალაქეები ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე</p> <p>მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	--	----------------------------------	---

	02 04 01		550.0	2500.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა შპს ,, ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია“. დაფინანსების ფარგლებში გაიცემა მძლელთა ხელფასები და ანაზღაურდება საწვავის ხარჯი. საკუთარი შემოსავლით ფინანსდება საწვავის და აგრეთვესხვა მიმდინარე ხარჯები</p> <p>ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მძიმე ტექნიკის ექსპლოატაციას, დაზიანებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციას და ზამთრის პერიოდში მოსული ნალექისაგან საგზაო ინფრასტრუქტურის გაწმენდას.კომპანია ჭიათურაში რამოდენიმე მიმართულებით ახორციელებს მგზავრთა გადაყვანას.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოქალაქეები ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე</p> <p>მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 06		300.0	4000,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება.</p> <p>ვინაიდან ქალაქში მრავლადაა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და ისეთი გლობალური პრობლემა როგორცაა მათი სახურავის, ფასადისა და კორპუსებში არსებული ლიფტების აღდგენა ამ კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობასთვის შეუძლებელია, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ეხმარება მათ ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა</p>			

მოსალოდნელი შედეგი	მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებთა გაუმჯობესებული პირობები
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღდგენა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		300.0	4000,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგება, რითაც გაუმჯობესდება ქალაქის იერსახე და საცხოვრებელი კორპუსი მეტად დაცული იქნება გარე ბუნებრივი მოვლენებისაგან, როგორცაა წვიმა და თოვლი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება იაშვილის ქუჩაზე საბაგირო გზის მიმდებარედ არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია, არმაშენბლის ქუჩაზე, საბაგირო გზის მიმდებარედ ორი ცხრასართულიანი კორპუსის ფასადის აღდგენის სამუშაოები და 9 აპრილის ქუჩაზე, საბაგირო გზის მიმდებარედ არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადის აღდგენის სამუშაოები.			
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე გარე ბუნებრივი მოვლენებისაგან, როგორცაა წვიმა და თოვლი დაცული საცხოვრებელი კორპუსი.			

დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2021-2024 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა

მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა დასხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს ინფრასტრუქტურის სამსახური, ხოლო არსრულების კუთხით ჩართულია აიპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი“

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1470.0	1490.0	1490.0	1520.0
	მ.შ. რიცხოვნობა	198	198	198	198
	მ.შ. ახალი ინიციატივები				

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1400.0	5970.0
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა კეთილმოწყობის სერვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი		მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა თუ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. აიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით.		
მოსალოდნელი შედეგი		მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდები დასუფთავების სფეროში	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 03		70.0	490,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა შენარჩუნებისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდეს სანაგვე ურნები, რომელიც განთავსდება საჭიროების შესაბამისად.			
მოსალოდნელი შედეგი	საჭიროებისამებრ განთავსებული სანაგვე ურნები			

განათლება 04 00

სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამა 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
04 00	განათლების ხელშეწყობა	4500 ,0	4518	4855	5252
	მ.შ. რიცხოვნობა	702	730	730	730

მ.შ.	ახალი			
ინიციატივები				

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2021-2024 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 01		4500	19125
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1600-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 65აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p>			

	<p>ბაგა-ბადებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა</p>
